



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება: 92. 92233634

თარიღი: 29/12/2023

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისა და ადმინისტრაციულ ერთეულებისათვის საწვავის გამოყოფისა და ლიმიტის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N29 დადგენილების შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. გამოიყოს საწვავი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისათვის დანართი N1-ით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 2. გამოიყოს საწვავი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისათვის დანართი N2-ით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 3. მეორე მუხლით გამოყოფილი საწვავის გამოყენება მოხდეს სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად იმ ავტომანქანებზე, რომლებსაც ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები /საწვავით მოსარგებლეები/ ძირითადად გამოიყენებენ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 4. საწვავის ხარჯვის დასადასტურებლად, საწვავით მოსარგებლეებმა წარმოადგინონ შესაბამისი საწვავის ჩამოწერის აქტი, რომელიც დადასტურებული იქნება პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ხელმოწერით. აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მის წარმომდგენ პირს.

მუხლი 5. ბრძანების მოქმედება განისაზღვროს 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. კონტროლი, საწვავით მოსარგებლეებისათვის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, საწვავის ხარჯვის ჩამოწერაზე დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "საფინანსო სამსახურს" და "ადმინისტრაციულ სამსახურს".

მუხლი 7. ბრძანება ძალაში შედის 2024 წლის 01 იანვრიდან.

მუხლი 8. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

